№ 7
ოთხშაბათი, 9 იანვარი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

№ 7
ოთხშაბათი, 9 იანვარი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
14
ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:
ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.)
ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიას
ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიას (ნიკოლოზ. ქ. ქალანთარის ქარვასლის პირ-და-პირ).
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს 10 იანვარს 1902 წ.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ
გ. ა. აბაშიძის მონაწილეობით
კიდევ ერთი მსხვერპლი
კომედია 5 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას, იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლეჟავა. ბ-ნნი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ურუშაძე. და სხვანი.
დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია
რეჟისორი ვ. გუნია.
მზადდება წარმოსადგენად „სტუმარი ტყვე“.

13 იანვარს ამა წლისა, დილის ათ საათზედ, ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში, დანიშნულია არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ წევრთა.
განსახილველია შემდეგი კითხვები:
1) არჩევა გამგეობის წევრთა ნაცვლად იმ პირებისა, რომლებმაც ეს თანამდებობა არ მიიღეს, თანახმად უკანასკნელის არჩევანებისა,
2) განხილვა იმ კითხვებისა, რომლებიც 16 დეკემბერს 1901 წლის წლიურს კრებაზედ განუხილველნი დარჩნენ.
ფირმის უფროსი ს. ჭეიშვილი.
(3—6.—2).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ხერვებისა (ელექტრო-თერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7\frac{1}{2}$ ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят.Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.
ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე. ბავშვებისა. 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისს და საშარდესი, $1\frac{1}{2}$—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.
ღამ-ღამობით ექიმების მორიგობაა, ღამის 9 საათიდგან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი
სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—17).

სადღისო წერილები.

> Tempora mutantur
> et nos mutamur in illis.

დრონი იცვალნენ!..

ყოველს ხანას კაცობრიობის ისტორიისას თავისი გასაღები აქვს. მხოლოდ იმას შეუძლიან შეიგნოს ისტორიული ცხოვრება, გაიცნოს მისი შინაური აგებულება და წყობილება, იგრძნოს მისი გულის ცემა, იქონიოს ცხოვრებაზე გავლენა, ვისაც ხელთ აქვს ამ ცხოვრების გასაღები. უამისოდ, რამდენსაც უნდა ვარახუნოთ, კარს არავინ გაგვიღებს და ჩვენი ცნობიერება და მოქმედება დარჩება ცხოვრების გარეშე.

თუ გაზეთს შეგნებული არა აქვს თვისის დროის ცხოვრების განსაკუთრებული თვისება და ის უმთავრესი ძალა, რომელიც ასულდგმულებს და ამოძრავებს ამ ცხოვრებას, იგი ვერ განმარტავს და ვერ ახსნის ვერც ერთს საზოგადო მოვლენას, ვერ დაეხმარება გზის გაკვლევაში საზოგადო მოღვაწეთ, მალე დაჰქნება, გახმება და ჩაჰქრება საუკუნოდ...

ორი უმთავრესი ძალა ამოძრავებს ახალს ცხოვრებას—ეროვნება და დემოკრატიზმი.

წარსულს საუკუნეში ყოველს ამა თუ იმ დიდს საპოლიტიკო მოვლენას თითქმის ერთი და იგივე ხასიათი ჰქონდა—ეროვნული. ნაპოლეონის საწინააღმდეგო ომებიდგანა, და საბერძნეთის პირველ აჯანყებიდგან დაწყებული (1821 წელს) დღევანდელ ინგლის-ტრანსვაალის ომამდე ყოველივე გამსჭვალულია ერთის აზრით, ყოველივე გამოწვეულია ერთა დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებით.

თუ ასეთია მთავარი ძალა საერთაშორისო ურთიერთობისა, შინაურ ცხოვრების ბატონია მეორე—ძალა დემოკრატიული, რომელიც ითხოვს, რომ ერის ბედსა და უბედობაში ყველა იღებდეს მონაწილეობას, ერის ცხოვრებაში შეგნებით მონაწილეობდეს ყველა, განურჩევლად წოდებისა, შეძლებისა, ხარისხისა; აქედგან ერთი ნაბიჯი-ღა რჩება, რომ ერის ყოველი წევრი გათანასწორებულ იქმნეს ყველაფერში...

თვით-მოქმედება და თვით-მმართველობა—აი, შინაარსი ამ მთავარის ძალისა შინაურს ცხოვრებაში.

მაგრამ შეიძლება პირველი ძალა მეორეს შევუერთოთ, მეორედ გარდავქმნათ. რა არის ეროვნული დამოუკიდებლობა? ეგ ინდივიდის, ადამიანის დამოუკიდებლობა და თვით-მოქმედება არ არის? ადამიანის თვით-მოქმედება აუცილებლივ და არსებითად მოითხოვს ეროვნულს თვით-მმართველობას. განა შეიძლება ეს თვით-მმართველობა, თუ არ არსებობს ერის დამოუკიდებლობა?

კიდევ ვიტყვით: დამოუკიდებელი, შეგნებული, თვით-მომქმედი ადამიანი,—ეს ის მთავარი ძალაა, რომლიდგანაც მომდინარეობს მრავალი სხვა ძალა, ეს ის დედა-მიზანია რომელსაც ესწრაფვის ყოველი წრე და დასი, ავიღოთ თუნდა ქალთა საქმე,—ეს საქმე განა გარდაწყვეტილი არ იქნება ზემორე მოხსენებულ საგნის გარდაწყვეტით?

რას ესწრაფებიან, რას მოითხოვენ ასე გამწარებით და თავ-გამოდებით მუშები? დამოუკიდებლობისა და თვით-მოქმედებისათვის აუცილებელს ვითარებას!......

ისტორიის მისწრაფება ის არის, რომ ადამიანი თავისუფალი და თვით-მომქმედი იყოს და ვერავითარი ძალა ბუნებისა თუ ადამიანისა ვერ შეაკავებს ამ მისწრაფებას. დრო მონობისა და ბატონობისა წავიდა, დაიმარხა სამუდამოდ! თვით კაცობრიობის არსებობა და და ადამიანის დამოუკიდებლობა და თვით-მოქმედება რომ შეებრძოლოს ერთმანეთს,—უნდა დასძლიოს მეორემ, უნდა დაიღუპოს პირველი. თუ ასე არ მოხდება, ეს იქნება ადამიანთა გადაგვარებისა და უკან დახევის მომასწავებელი.

არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ასეთი დამოუკიდებელი, თავისუფალი ადამიანი ვითომ უარ-ჰყოფს შეერთებას, საზოგადოებრიობას, პირ-იქით, ყოველივე შეერთება მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი და სამართლიანი, როდესაც იგი წარმოადგენს თანასწორ უფლებიანს, თანასწორად დამოუკიდებელ ადამიანთა შეერთებას..

დამოუკიდებელი, შეგნებული, თვით-მომქმედი ადამიანი,—აი, ეხლანდელ ცხოვრების იდეალი; აი, ჩვენი სახელმძღვანელო ძალა, აი, ის დედა-აზრი, რომლის მიხედვით განვიხილავთ ყოველს მოვლენას, როგორც საშინაოსა, ისე საგარეო ცხოვრებაში. ასეთი ადამიანია ჩვენი იდეალი; დავგმობთ ყოველსავე იმას, რაც ასეთს განვითარებას ეწინააღმდეგება, ხელს შევუწყობთ, რაც ამ საქმეს ემსახურება.

— ცხადია, მაშ, როგორ უნდა ვუყურებდეთ კერძოდ ზოგიერთს ჩვენს დღევანდელს საჭირ-ბოროტო საქმეს.

...წარსულის იდეალიზაცია მავნებელია ერის ცხოვრებისათვის, მაგრამ არ ვარგა არც ყველაფრის უსაბუთოდ განკიცხვა და უარყოფა. ჩვენ არ ვიცით ჩვენი წარსული; ეს ჩვენი

ფელეტონი

კონსტანტინე ბატონიშვილი

(ისტორიული ამბავი)

I

იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, ტახტის მიღებაში ბევრი მეტოქე გამოუჩნდა. მრავალ მეტოქეთა შორის პირველი ადგილი ეჭირა ბატონიშვილს დავით გიორგის ძეს, რომელიც სულით და გულით ცდილობდა იმერეთის ტახტი, როგორმე ხელში ჩაეგდო. ამ მიზნის მისაღწევად დავით არაფერს საშუალებას, არ ერიდებოდა: ხან თათრებს იწვევდა იმერეთის ასაკლებლად, ხან ისევ მეგრელთა და იმერთა შორის სცდილობდა მტრობა, შური, სიძულვილი და ღალატი ჩამოეგდო. მაგრამ დავით ბატონიშვილი უტაქტო კაცი იყო, აკლდა შორს მჭვრეტელობა, საქმის ღრმად ცოდნა, დაკვირვება და ეს-კი ძრიელ ბევრს უშლიდა მოფიქრებულის პლანების განხორციელებას. ეს იყო მიზეზი, რომ იგი თითქმის ყოველთვის დამარცხებული და უკუქცეული იყო ხოლმე. ერთის ამ გვარ დამარცხების დროს დავითმა ახალციხეში შეაფარა თავი, სადაც რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს. დავითს დარჩა ცოლი ანნა და ერთი ვაჟი კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც ჯერ ისევ მცირე-წლოვანი იყო.

სოლომონ მეორე ავიდა თუ არა იმერეთის სამეფო ტახტზედ, დიდის ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ქვრივს ანნას და მცირე-წლოვან ბატონიშვილს კონსტანტინეს. მეფე ამ ორსავე დედა-შვილს დიდ ყურადღებას აქცევდა. მათი თვითეული ნაბიჯი, აზრთა მოძრაობა, გარშემო ხალხთან კავშირი, ნაცნობობა—ყველაფერი გამოთვლილი, აზომ-დაზომილი და განსაზღვრული იყო მეფის თვალში. მეფე თითქმის სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ქვრივი ანნა და ძე მისი კონსტანტინე პირველი მოსისხლე მტერნი იყვნენ მისი. რაც დრო გადიოდა ეს სიძულვილი უფრო და უფრო მატულობდა. იმათ გამო შიში და ძრწოლა მეფეს მოსვენებას არ აძლევდა. მეფე დარწმუნებული იყო, რომ ქვრივი ანნა ქმრის მაგიერ შურს იძიებდა მისგან და რაიმე ხიფათში გაჰხვევდა. ესა და მრავალი სხვა შავი ფიქრიც მეფეს მოსვენებას არ აძლევდა და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო რწმუნდებოდა ამ აზრის სიმტკიცეში. დიდხანს იტანჯებოდა მეფე, დიდხანს ფიქრობდა მათ შესახებ და ვერაფერი ვერ გარდაეწყვიტა. ბოლოს, ბევრის ფიქრისა და სულიერ ბრძოლისა შემდეგ გადასწყვიტა ქვრივის ანნას სიკვდილით დასჯა და კონსტანტინე ბატონიშვილის მუხურის *) ციხეში დაპატიმრება. ძნელი იყო ამ ამბის გაგონება ყველასათვის, მაგრამ უფრო ძნელი და თავზარ დამცემი იყო იგი ქვრივ ანნასა და კონსტანტინე ბატონიშვილისათვის... ყველა აალელვა ამ შემთხვევამ, ყველას გულის სიღრმემდის სწვდა მწუხარება და მომავალი სასჯელი ქვრივის ანნასი, მაგრამ ვის რა შეეძლო?!. დრო გადიოდა, მეფის ბრძანება უნდა შესრულებულიყო და ანნას გულში-კი მწუხარების ცეცხლის ალი ტრიალებდა. სწვავდა და სდაგავდა შვილის სასჯელი, აღონებდა თავისი მდგომარეობა და ამას გარდა იმედ-გაცრუებულს, სასოწარკვეთილს მთელი ღამეები არ ეძინა... „გავიქცე, დავიმალო, ვეხეტო მხეცივით ტყე-ველში?! ეს ხომ სილაჩრე იქნება, იტყვიან სიკვდილს დაემალაო?! ფიქრობდა ანნა თავისთვის... მაშ დავემორჩილო ჩემს ბედს, გავსწირო შვილი, მივსცე მტარვალს სატანჯველად, საწამებლად?! მერე? ეს ხომ დედის გულის გაცივებას, უგრძნობლობას, სიძულვილს ჰნიშნავს! და მე-კი ჩემი შვილი გაგიჟებით მიყვარს... ან-კი ვის არ უყვარს თავისი პირმშო?! ცხოველები, ცხოველები რაა, რომ ისინიც გიჟდებიან თავიანთ შვილებისთვის... ხვალ ჩემი შვილი უნდა შეიპყრან, მუხურის ციხეში დააპატიმრონ!! მერე მეც დამსჯონ?! სიკვდილით! დიახ, სიკვდი...ლი...თ!. ოოხ, რა ძნელია! ასეთს ფიქრს შეეპყრო ანნა ერთს დილას, როდესაც მოვიდნენ მისი მხლებლები და ქალაქ ქუთაისიდგან სურამის გაუვალს მთებში გააპარეს. კონსტანტინე ბატონიშვილი-კი მეფის ბრძანებით მეორე დღესვე მუხურის ციხეში დააპატიმრეს. დიდ ხანს იყო დამალული ქვრივი ანნა, დიდ ხანს ცხოვრობდა ველურად, გაჭირვებულად შვილის ჯავრით დამწვარ-დადაგული. კიდევ დიდხანს შეეძლო აეტანა ეს მხეცური ცხოვრება, ეს უსაზღვრო გაჭირვებული მდგომარეობა, რომ დრო ან საზღვარი ჰქონებოდა მეფის რისხვას მის თავზედ. მაგრამ მან არ იცოდა, რა ვადით იყო მისი ძე კონსტანტინე დატუსაღებული, არ იცოდა, როდემდის უნდა ეცხოვრა ასე ფარულად, ასე ველურად და მიზეზიც ეს იყო, რომ ანნამ გარდასწყვიტა ერთს ღამეს სურამს გადასულიყო და იქ მდგომ რუსის ჯარის უფროსის ლაზარევისათვის რაიმე მოწყალება ეთხოვა. სურამში ჩასვლის უმალვე ქვრივმა ანნამ გენერ. ლაზარევს მისწერა წიგნი, სადაც, სხვათა შორის, უთვლიდა: „ჩემი ის უნდა მოგახსენოთ, მოწყალეო ბატონო, რომ ერეკლე მეფის ძმის წული გახლავარ. ძლიერ ადრე დავობლდი და როგორც ობოლი, აღვიზარდე ჩემის პაპის ზრუნვითა და ღონისძიებით; მანვე მამათხოვა იმერეთის მეფეს დავითს. ერეკლე მეფეს თუმცა ვუყვარდით და ყოველთვის მოწყალე იყო ჩვენი, მაგრამ მაგიერ მისს მეუღლეს—დარეჯან დედოფალს თვალით არ დავენახვებოდით...ეს სიძულვილი, ჩვენდა საუბედუროდ, თან და თან იზრდებოდა მისს გულში და ბოლოს იქამდის მივიდა მისი ჩვენდამი რისხვა, რომ არც ჩვენ და არც ჩვენი გაგზავნილი კაცი სასახლის ეზოშიაც-კი არ შეუშვა და მით ყოველ გვარს უზენაესს მოწყალებას მოკლებულნი, საშინელს გაჭირვებასა და სიღარიბე-სილატაკეში ჩაგვყარა. მყავდა ერთად ერთი ნუგეში, იმედი, შვილი, მუდამ ჩემთან, ჩემის ალერსით და მშობლიურის გრძნობით აღზრდილი, სამი წლის ძე კონსტანტინე, რომელსაც ჩემს მკერდს გარეშე ბინა არ ჰქონდა, რომელსაც დედის ალერსს ვერავინ ვერ უმაგიერებდა და ეს ერთად-ერთი ძე ჩემი, იმავე დარეჯან დედოფლის რჩევით და ბრძანებით მომგლიჯა გვერდიდგან სოლომონ მეფემ და მუხურის ციხეში მიკლავს, მიწვალებს. აგერ რვა წელიწადი გადის და მე, საბრალოს, მის დატანჯულს დედას, ძუძუს კუნთებზედ ცეცხლი მეკიდება, ვიწვი, ვიტანჯვი, მის ერთი ხმის გაგონებასაც ვერ ვღირსებივარ, მისი ლანდიც არავინ დამანახვა. არა ერთხელ ვიყავი ამ მიზნით ერეკლე მეფესთან ქართლში, არა ერთჯერ და ორჯერ ვსთხოვე ჩემი შვილის განთავისუფლება, მაგრამ დაკმაყოფილება ვერასოდეს მისგან ვერ მივიღე. შვილის განთავისუფლების მაგიერ მეფემ ს. ხეფინის ხევში ცხოვრების ნება მომცა და დღემდის აქ ვცხოვრებდი. მაგრამ აქაც მიმუხთლა ბედმა, აქაც ჩემს სიმწარეს უმეტესი სატანჯველი დაემატა და მოთმინების ფიალაც ლამის ამევსო. აქ ჩემდა საუბედუროდ გოგია აბაშიძე გადამეკიდა. ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, როგორმე მოეცილევინებინა ჩემთვის ფეხი და ამ მიზნის მისაღწევად მან რამდენჯერმე მოინდომა თათრებისთვის მიეყიდე, მაგრამ ეს, ჩემდა საბედნიეროდ, ვერ მოახერხა. ამ გარემოებამ ისე გააჯავრა და შეაძულა ჩემი თავი, რომ შემომიჩინა გარეშე კაცებიც და მომინდომა სახლ-კარით გადავეწვი, მაგრამ აქაც უზენაესმა განგებამ დამიფარა და გადამარჩინა სიკვდილს. ჩემი ქმარი გააძევეს თავის სამშობლოდგან და თავის მშობელ ქვეყნის გარეშე ყველასაგან მოძულებულმა, სასოწარკვეთილ-

---

*) შორაპნის მაზრის სოფელი.

დიდი ნაკლულევანებაა. ერი უნდა იცნობდეს თავისს თავს, თავისს წარსულს—თვითცნობა ძალაა. ჩვენმა ისტორიამ ბევრი კარგიც გვიანდერძა და ბევრი ავიც. შეიძლება დღეს უფრო მძლარნიც ვართ შედარებით, მაგრამ წარსულში მეტი დამოუკიდებლობა, მეტი თვით-მოქმედება, მეტი თავ-გამოდება და ხასიათის სიმტკიცე იყო...

ჩვენ არ შეგვიძლიან შევიძულოთ ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დაბადებით თავადია ან აზნაური. რამდენიც მეტი შეგნებული და მშრომელი იქნება აზნაურებში, იმდენად უკეთესია მთელის ერისათვის. მაგრამ ყველა წოდება ერთნაირად ვერ ემსახურება ჩვენის დედა-აზრის განხორციელებას. ამიტომ, ცხადია, საით იქნება მიმართული ჩვენი სიმპატია.

ძველი წეს-წყობილება იცვლება, ახალი ურთიერთობა მყარდება. მთელი ერი იყოფება ორ უმთავრეს ჯგუფად—შრომის მყიდველებად და შრომის გამყიდველებად. ყველასათვის ცხადია, რომ ერს არ შეუძლიან აღებ-მიცემობისა და მრეწველობის გარეშე არსებობა, ერი მუდამ ღატაკი და სხვისგან დამოკიდებული იქნება, თუ მრეწველობა არ განუვითარდა, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია თვალი მოვარიდოთ იმ მრავალგვარს უსამართლოებას, რომელიც თან მოსდევს ამ პროცესს და არ გავითვალისწინოთ მომავალი... მკითხველს სახეში უნდა ჰქონდეს ყოველთვის ჩვენი დედა-აზრი და მუდამ არ უნდა გვთხოვდეს ვრცელს განმარტებას.

სომხებს ვეწინააღმდეგებით იმდენად, რამდენადაც ისინი დააბრკოლებენ ჩვენს ეროვნულს თვით-არსებობას. ჩვენსა და მათ შორის უთანხმოებას მარტო ეკონომიურს ბრძოლად არა ვსთვლით. ეკონომიურს ბრძოლას ზედ დაერთო ეროვნულიც. ჩვენი გამარჯვება ეკონომიურის გალონიერებით შეიძლება. სომხები ჩვენზე მდიდრები არიან—ეს მათი ძალაა. მაგრამ დღესაც გვაქვს ჩვენ ერთი ძალა—ისტორიული. ჩვენმა ისტორიამ გადმოგვცა უფლებანი, რომლებსაც ვერასოდეს ვერ დავთმობთ და, თუ დავთმობთ, უარვყოფთ ჩვენს არსებობასაც. ეს არასოდეს არ უნდა დაივიწყონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც ხშირად ძალიან და ძალიან ამწვავებენ ჩვენს უთანხმოებას.

რა მიზეზები გამოიწვევს ამა თუ იმ საზოგადო ცვლილებას, როგორი ვითარებაა საჭირო ჩვენის დედა-აზრის განსახორციელებლად?—უმთავრესად და უპირველესად ეკონომიური, მატერიალური. მაგრამ მარტო ეკონომიურნი ძალნი ვერ შეჰქმნიან სასურველს მდგომარეობას; საჭიროა სხვა ხელ-შემწყობი გარემოებანიც. ცხოვრებაში ჰმოქმედობს სხვა ძალაც—გონებრივი, ზნეობრივი, ეროვნული, პოლიტიკური, უფლებრივი, პირდაპირ ბუნებრივი.—ხანდახან ისეც მოხდება, რომ ბატონობს არა ეკონომიური ძალა...

კალამი.

ახალი ამბავი

*** გუშინ-წინდელს სხდომაზე 7 იანვარს ქალაქის საბჭომ მხოლოდ სამი საქმის განხილვა მოასწრო, რადგან ხმოსნები მხოლოდ ღამის 9 ს. და 20 წ. შეიკრიბნენ. საბჭომ პირველად მოისმინა ნ. ვ. არღუთინსკის წინადადება შესახებ იმისა, თუ სხდომის გასახსნელად რამდენი ხმოსანია საჭირო. დღემდე კანონიერ რიცხვად ითვლებოდა მესამედი მთელის საბჭოსი, ე. ი. 27 ხმოსანი, მაგრამ რადგანაც 80 ხმოსანის მაგიერ საბჭოს 56-ღა შერჩა და აქედგან 13 ტფილისში არ არის, ამიტომ თ. არღუთინსკის აზრით კანონიერ რიცხვად ხმოსნებისა სხდომებისათვის უნდა ჩაითვალოს 43 ხმოსნის მესამედი. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ დაამტკიცა კანონიერ რიცხვად ჩაითვალოს მესამედი იმ ხმოსანთა, რომელნიც ქალაქში იქმნებიან. შემდეგ ჰსჯელობდნენ იმაზედ, თუ ბ. ივანენკო ხმოსნად რატომ აღარ ითვლებაო. გამგეობამ უპასუხა, რომ ბ. ივანენკომ ცენზი დაკარგაო. საბჭომ მაინც კანონიერად სცნო, რომ ბ-ნი ივანენკო ისევ ხმოსნად ითვლებოდეს. შემდეგ ამისა კენჭი უყარეს გამგეობის წევრს ბ. ხოსროევს, რომელსაც წევრობის ვადა გაუვიდა. ბ. ხოსროევი, 22 ხმით წინააღმდეგ 6-სა, ხელ-ახლად ამორჩეულ იქმნა გამგეობის წევრად. თავმჯდომარემ კრება დახურა თერთმეტის ნახევარზე იმ მიზეზის გამო, რომ ხმოსნებმა საქმეების განხილვის დაბოლოვებას სახლში წასვლა არჩიეს...

*** რუსეთის სახელმწიფო რკინის გზების გამგეობის კომიტეტს პეტერბურგში გადაუწყვეტია: მიეცეს ე. ლ. ვედენეევის ქვრივს სამი ათასი მანეთი ქმრის დასამარხავად.

*** გუშინ-წინდელ მეჯლისიდგან, რომელიც სააზნაურო სკოლის სასარგებლოდ იყო გამართული ტფილისის კრუჟოკის დარბაზში, შემოსავალი 2,000 მანეთამდე ყოფილა.

*** გუშინ-წინ, იანვრის 7-ს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, მეოთხე უბნის ბოქაულის დუშინსკის თავმჯდომარეობით მოხდა არჩევნები ტფილისის მოქალაქეთა უხუცესისა და მოქალაქეთა გამგეობის სხვა თანამდებობის პირთა. საარჩევანო კრებას დაესწრო სულ 89 დეპუტატი. მოქალაქეთა უხუცესის თანამდებობაზე ბარათებით დაასახელეს ოცდა ათამდე კანდიდატი. უმრავლესობამ მათგანმა უარი სთქვა, ხოლო ყუთი დაუდგეს: ი. ს. ბულდანოვს, რომელსაც ბარათებით ამოუვიდა 67 ხმა, დანდუროვს- 41, ადამიძეს—21, აფრიამოვს—4, კაპანაძეს—3 და ჯილიაევს – 8. დახურულის კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: ი. ს. ბულდანოვი (65 თეთრი 24 შავი) მოქალაქეთა უხუცესად,—ს. დანდუროვი (45 თ. 43 შ.) მისს კანდიდატად, ი. ს. ყაითმაზოვი მოქალაქეთა ხარჯის ამკრებ უხუცესად და მისს კანდიდატად პ. ხოსროევი. დასასრულ აირჩიეს 10 დეპუტატი მოქალაქეთა ხარჯის ამკრებ უხუცესის თანაშემწედ და 10 დეპუტატი კიდევ ამ თანაშემწეების კანდიდატებად.

*** ამიერ-კავკასიის ინჟენერ-გიდრავლიკებს დღეს უკანასკნელი სხდომა ექნებათ.

*** მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის განკარგულებაში მყოფს აგრონომს ზავაროვს მთავრობა აგზავნის შვეიცარიაში მერძევეობის საქმის შესასწავლად.

*** ხაშურის სადგურიდგან გვწერენ: „იანვრის 7-ს მოსახვევ წრიდგან დაბრუნებული ორთქლ-მავალი № 489 დაეჯახა მატარებელს № 146. ორთქლ-მავალი გადასცდა რელსებს, ვაგონები და გზა დაზიანდა.

*** განჯიდგან გვატყობინებენ: იანვრის 4/5 რკინის გზის 443 ვერსზე რამდენიმე ბოროტ-მოქმედნი თავს დაესხნენ ბუდკას და თოფები დაუშინეს. ბუდკიდგანაც სამაგიერო ესროლეს და ერთი თავსდამსხმელთაგანი დასჭრეს, დანარჩენნი გაიქცნენ.

*** ს. კირბალიდგან (გორის მაზრა) გვწერენ, რომ იქ ამ ჟამად საქონლის ჭირი მძვინვარებს. გზა უკვე შეუკრავთ.

*** ს. ოძისში და ცოცხნარში (გორის მაზრა) ყვავილითა და ყელჭირვებით მრავალი ბავშვი არის თურმე ავად.

*** დღეს მესამე დღეა, რაც ქალაქში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ამ ბოლოს დროს ბევრი თხოვნა მოსდის სოფლებიდგან, უმეტესად გლეხებისაგან, რომ მათ უსასყიდლოდ გაეგზავნოთ ამერიკული ვაზის ნერგები. მთხოვნელები თავიანთს უკიდურესს სიღარიბეს ასახელებენ მიზეზად იმისა, რომ ნერგებს უსასყიდლოდ თხოულობენ.

*** მოქალაქეთა ზოგნი დეპუტატთაგანნი აპირებენ თურმე განასაჩივრონ ამ თვის 7-ის არჩევნები. მიზეზად ის მოჰყავთ, რომ კრების თავმჯდომარეს არ დაუფიცებია ამომრჩეველნი.

*** 7 იანვარს, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ გადასწყვიტა, დანიშნოს მესამე მასწავლებლად ბათომის სკოლისა ანასტასია ლომინაძე 500 მან. ჯამაგირით. ლომინაძეს გაუთავებია ქუთაისის ქალების პროგიმნაზია.

შეცდომის გასწორება.

«ივერიის» № 6-ში «იმერეთის ამბებში» დაბეჭდილია «...ჰგონია, რომ ბათომის თავად ის...» უნდა იყოს «ჰგონია, რომ ბათომი თავად ის...»

საბალახე-საძოვრის საქმის გამო.

(წერილი კახეთიდგან)

„ივერიის“ 278 №-ში მოთავსებულია წერილი კომისიის თავმჯდომარისა თავ. ი. გ. ამილახვრისა მემამულეთა მიმართ, რომელთაც სთხოვს თავ. ამილახვარი დაწვრილებითს ცნობებს შესახებ საბალახე-საძოვრის საქმისა. ესევე წერილი 6-ს დეკემბერს წაკითხული იყო თელავის მაზრის წინამძღოლისაგან თავად-აზნაურთა კერძო კრებაზედ, სადაც ამ წერილმა ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია, ხოლო ბაასი შეეხებოდა მარტოდ-მარტო იმ ზარალს, რომელიც შედეგია საბალახე-საძოვრის გაუწესრიგებლობისა და წერილში მოყვანილი საგნები-კი უპასუხოდ დარჩა. ეჭვი მაქვს, რომ თელავის მაზრიდგან ბევრნი არ მისცემენ პასუხს, თუმცა აქ უფრო გამწვავებულია ეს საქმე, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისის გუბერნიაში.

აქ იშვიათია ისეთი მემამულე, რომელსაც საბალახე-საძოვრის საქმე მარტო ეკითხებოდეს. მომეტებულად საბალახე-საძოვრის საქმეს განაგებენ საერთოდ, სოფლეურად: თავად-აზნაურნი, რომელნიც სცხოვრობენ ერთს სოფელში, საერთოდ ახდევინებენ საბალახე-საძოვრის გადასახადს და მერე იყოფენ წილობაზედ. ამისი მიზეზი ერთის მხრივ მცირე მემამულეთა სიმრავლეა, მეორე მიზეზი თვითეულ მესაკუთრის მამულის გაფანტულობა. უკანასკნელი გარემოება ზოგ დიდ მემამულესაც ხელს უშლის საბალახე-საძოვრის საქმე საკუთრივ განაგოს. ამასთან სხვა-და-სხვა სოფელში სხვა-და-სხვა რაოდენობაა საბალახე-საძოვრის გარდასახადისა. ამიტომ თვითეულ სოფელზედ ცალკე უნდა შეიკრიბოს ცნობები ორ წყაროდამ: 1) მიწის სივრცის რაოდენობაზე ცნობები ოლქის სასამართლოს გამიჯვნის საქმის განყოფილებიდგან, 2) საქონლის რაოდენობაზედ-კი – მესაკუთრეთაგან.

რასაკვირველია, იმ საგანს, თუ „რამდენია საბალახე და საძოვარი ადგილები, რომლებსაც ჰხმარობენ გლეხნი“—აქ თელავის მაზრაში ადგილი არა აქვს, რადგანაც აქ არ არის ისეთი ადგილები, გარდა კავკასიონის და ცივ-გომბორის მთის ზემო ბექურებისა, რომლებიც „იალაღად“ იწოდება და რომლებსაც ან საბალახეს ეძახიან, ან საძოვარსა.

თქმა არ უნდა, კომისიის თავმჯდომარის წერილი იალაღებს არ შეეხება, რადგანაც იალაღების საქმე გაწესრიგებულიც არის და შემდეგშიაც, თუ ცვლილება იქმნება რამე, ამ ცვლილებას შეიტანს სახაზინო იალაღების საქმის გაწეს-რიგება. დღეს სახაზინო იალაღები გაიცემა საჯარო ვაჭრობით სამის ან მეტის წლით; ვინც მეტს მისცემს, ის იღებს, ხშირად ისეთიც, რომელსაც არც ერთი ცხვარი არ ჰყავს. კერძო მემამულეთა იალაღებსაც ისინი იღებენ, ვინც მეტს მისცემს პატრონსა. არც სახაზინო და არც კერძო მემამულის იალაღის გაცემის დროს არავინ კითხულობს, ამღები ვინ არის და სადაურია. უფრო ხშირად ორსავე იალაღებს იღებენ საძოვრად თიანეთისა და სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი, ე. ი. ისინი, რომელთაც არავითარი სხვა დამოკიდებულება არა აქვთ მამულის პატრონთან.

იალაღებს გარდა, სადაც (ცივ-გომბორის იალაღებზედ) ბალახი ითიბება, ისიც ზოგან, არც ერთი ადგილი არ არის, თუ ვენახებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბალახსა სთიბავდნენ. თელავის მაზრაში მარტო ვენახებში სთიბავენ ბალახსა. ეს გარემოება დღეს თუ ხვალ ძალას დაატანს კახელს, რომ ბალახის თესვა შემოიღოს. საჭიროა მხოლოდ მაგალითის მჩვენებელი.

თუმცა ზემო-კახეთში არ არის ადგილები, რომლებიც საბალახისა და საძოვრის სახელს ატარებდეს, გლეხი მაინც იხდის გადასახადს, რომელსაც ორსავე სახელს ეძახიან. საბალახე და საძოვარი გადასახადი აძევს გლეხს, რადგანაც საქონელს აძოვებს ტყეში და სახნავსათეს მინდორში.

ამისთანა გარემოება დიდად მაზარალებელია თვით გლეხისაც და მამულის პატრონისაც, თუმცა ამ ზარალს ვერც ერთი ჰხედავს შეგნებით და ვერც მეორე. მოგეხსენებათ, ენკენისთვეშივე ჯეჯილი ამოსულია და მთელი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული, ვიდრე აპრილამდე, დადის საქონელი ჯეჯილს შუა კვლებში და ხან აქ გადავა, ხან იქ. ცოტა დღეს, ცოტა ხვალ და საერთოდ-კი სულ ფეხ-ქვეშ ითელება და გადაძოვილია.

სწორედ გასაოცარია ამ ზემო-კახელების საქმე! ადგილი არ არის თავისუფალი, რომ ხბო გააგდოს კაცმა და ამათ-კი აქ ცხვრის ფარები ჰყავთ შემოდგომა-ზამთრობით. ქისტაურის, ახაშნის, ხოდაშნის, აწყურის, იყალთის, რუისპირისა და სხვა სოფლების გასადევარ დათესილს მინდვრებზედ გაშლილია ცხვრის ფარები. რაც ამ ცხვრის ფეხს და პირს გადარჩება, იმას სხვალ-ფეხი საქონელი შეუსრულებს.

ვანა შეგნებული რომ იყოს, რამოდენა ზარალი შეუძლიან მისცეს ცხვრის ფარამ მემამულესა და იმის მამულის მხვნელ-მთესველს, დივიჯერით, მცირე საბალახის გადასახადის გამო ბინას მისცემდა მამულის პატრონი ცხვრის ფარას თავისს მამულში? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მთელის ზემო-კახეთის საბალახე-საძოვრის გადასახადი (იალაღების გარდა) 1000 მან. არ აღემატება და ზარალი-კი ერთი-ათად, ერთი ოცად მეტია; რაც, რასაკვირველია, წარმოსდგება ამ საქმის გაუწესრიგებლობით.

ამიტომ საჭიროა ცნობები, რაც შეიძლება, მალე გაეგზავნოს კომიტეტს. ამისთვის კიდევ შესახებ თელავის მაზრისა საჭიროა კომიტეტმა თვითეულ სოფელში ერთი წერილი გაგზავნოს და მოითხოვოს ცნობები მთელის სოფლის შესახებ.

ნადიკვრელი.

დაბა და სოფელი

წერილი კახეთიდგან (თელავის მაზრა).

ჩვენის კუთხეულ მხარიდგან, კახეთიდგან, ყოველ-დღიურ ვარამზედ ცნობები იშვიათად არის ხოლმე გამოფენილი გაზეთის ფურცლებზედ, მეტადრე ქურდობა-ავაზაკობაზედ, რომელსაც მთელს ჩვენს ქვეყანას ასე უკიჟინებენ. ეჭვი არ არის, ყოველსავე ამას თავისი მიზეზები აქვს და მრავალ-ფერიც, რომლებიც გამოუკვლეველი და გამოურკვეველი, ვგონებთ, არ დარჩეს მომავალს ისტორიას... მაგრამ ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ სენსა და ვარამს (ქურდობა-ავაზაკობას), ჩვენდა სამწუხაროდ, არც კერძოდ კახეთია მოკლებული. თუმცა ღმერთმა დაიფაროს, კახეთი ყაჩაღობა-მისდომისაგან თავისუფალია. ყაჩაღობა-მისდომა შუა-გულ კახეთში მოუხერხებელია; კახეთის ბოლოს-კი, შირაქის მინდვრებზედ, ყაჩაღობა და ხელდახელი ძარცვა ჩვეულებრივია თითქმის.

კახეთის საბედნიეროდ ხსენებულს მინდვრებს ჰპატრონობენ და სდარაჯობენ ისეთი მშვიდობის მოყვარე და ძარცვა-გლეჯის მოძულე ხალხი, როგორნიც არიან თუშ-ფშაველნი და ქიზიყელნი, არა ერთისა და ორის ყაჩაღის მზის დამბნელებელნი, თორემ უამისოდ შირაქიდგან და განჯა-ყარაბაღიდგან შემოსევა და ძარცვა-გლეჯა იშვიათი არ იქმნებოდა.

ჩუმი ტურა-მელობა და ქურდ-ბაცაცობა-კი არამც შუა-გულ კახეთსა და მიყრუებულს სოფლებშია, დრო და დრო თვით სამაზრო ქალაქს თელავში ხდება ხოლმე! მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს ქურდობა ისეთივე იყოს, როგორიც ქალაქს სჩვევია: ჯიბგირობა, დუქნებისა და სახლების გატეხა და სხ.—არა, აქაური ტურა-მელობა უფრო ეშმაკიანია, მაგალითად, მგზავრებს, ღამის გასათევად დაბინავებულებს დუქანში, ჰპარავენ ცხენებს, ფულსა და სხ.

ამ შემოდგომაზედ სამი იყო ასეთი შემთხვევა. მესამე შემთხვევა ამ ერთისა თუ ორის კვირის წინად მოხდა. თუშებმა დაკარგეს ბაკიდგან ორი ცხენი. მიაწყდნენ აქეთ-იქით, გამოჩნდა მთხრობელი (მთხრობელი ან ქურდის ამხანაგია, ან ქურ-

---

მა დალია სული. ესეც სულ დარეჯან დედოფლის რჩევით და ბრძანებით მოხდა...ამის შემდეგ გიორგი მეფემ და დავით ბატონიშვილმა კიდევ შემიბრალეს და ერეკლე მეფის ნაწყალობევი ს. ხეფინის ხევი კიდევ მომაქეს... აქაც სოლომონ მეფემ და მისმა სარდალმა დამასიეს ჯარი, ორი აზნაური მომიკლეს, ორიც მძიმედ დამიჭრეს და მეც მოსაკლავად დამდევდნენ, მაგრამ უდაბურს ტყეში შევიფარე თავი და სიკვდილს გადავრჩი...ამაში დიდი მადლობელი ვარ თქვენის კაპიტანის ტურკოვიჩისა, რომელმაც მნახა სურამის მთებში დამალული, დამიხსნა სიკვდილისაგან და აქ სურამში ჩამომიყვანა. მე კარგად ვიცი, რომ თქვენ ჩემი ძმის, თამაზა ორბელიანისა და საზოგადოდ მთელის მისის ოჯახის მწყალობელი და მფარველი ბრძანდებით, იმედი მაქვს მეც არ დამტოვებთ უმოწყალოდ, შემიბრალებთ საბრალო ობოლს, ქვრივს, უპატრონოთ დაგდებულს, ყველასაგან მოძულებულს დედას, რომელსაც საყვარელი შვილი გვერდიდგან ააგლიჯეს და სატუსაღოში ნორჩს სიცოცხლეს უწყალებენ. იწამეთ ღმერთი, შემიბრალეთ, გამითავისუფლეთ შვილი სატუსაღოდგან და დამიხსენით ამ ჯოჯოხეთურ სატანჯველისაგან. ხელმწიფეო ჩემო! მისწერეთ მეფე სოლომონს სასტიკი ბარათი და გამოუცხადეთ, რომ მე მისს ქვეყნის საზღვარზედ ვცხოვრებ, ეს ადგილი სრულებით მას არ ეკუთვნის. მომეცით ნება და დამიფარეთ რამოდენისამე ხნით, რომ უზენაეს მოწყალების მოსვლამდის მაინც შემეძლოს აქ ცხოვრება... ხელმწიფეო ჩემო! უმორჩილესად გთხოვთ მოიღეთ ჩემს თავზედ თქვენი მოწყალება და მიმსახურეთ. თვალ-ცრემლიანი უნდა წარვსდგე ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორთან და მუხლ-მოდრეკით ვსთხოვო ჩემის შვილის მუხურის ციხიდგან განთავისუფლება...მანამდის-კი თქვენ დამიფარეთ, მიხსენით ამ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან...*)“ ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლაზარევზედ. შევიდა ქვრივ ანნას მდგომარეობაში, გაუღო მოწყალებისა და შებრალების კარები, მაგრამ თვითონ მაინც ვერ გარდასწყვიტა ამ ბედშავ ქალის ბედი...დიდხანს იფიქრა, აზომდაზომა და ბოლოს ეს წერილი მაშინდელ მთავარ-მართებელს კნორინგს გაუგზავნა და თან სთხოვა, რა ნაირად მოქცეულიყო ამ შემთხვევაში. სანამ წერილის პასუხი მოვიდოდა, ქვრივი ანნა შეეძლოთ კიდევაც შეეპყროთ და სოლომონ მეფისათვის გადაეცათ, მაგრამ ლაზარევმა აქაც კაცთ-მოყვარეობის გრძნობა დააყენა ფორმალურ სამსახურის მოთხოვნილებაზედ მაღლა და ანნა თავისს ბინაზედ მიიღო... ყოველ შემთხვევისათვის გენერალმა ფორმალურად შეადგინა ოქმი და მოიხსენია, რომ მისი ჯარის აფიცრები, ტყეში ნადირობის დროს, წაადგნენ თავზედ უცნობს ქალს და მასთან მოიყვანესო... ერთი სიტყვით, გენერალმა ლაზარევმა დიდი პატიოსნება მოიხმარა... მთავარ-მართებელმა ანნას წერილი მიართვა ხელმწიფე იმპერატორს, რომლისაგანაც დაუყოვნებლივ მოვიდა ბრძანება: „ქვრივი ანნა გაიგზავნოს ქ. ტფილისში, დაენიშნოს მას შესაფერი ჯამაგირი და იცხოვროს იქ ახალ განკარგულებამდის“-ო. ამ გვარ მოწყალების გაგონებამ ანნა აღტაცებაში მოიყვანა, ის სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა, ამ სიხარულმა თითქმის შვილის ჯავრი დროებით გულიდგან გადაჰყარა. ანნა კარგა ხანს ცხოვრებდა ქ. ტფილისში. იმას იქ დიდის პატივითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ, მაგრამ მაინც შვილის ჯავრი, მუდამ დღე მასზედ ფიქრი და დარდი დედას გულს ნემსების მზგავსად უჩხვლეტდა და უსერავდა... მისთვის ყოველი ბედნიერება უბედურობის შხამით იყო შეზავებული... მისთვის ბრწყინვალე დღე—მწუხარების ძაძებით იყო მოსილი... ანნას ამ გვარ, მდგომარეობაში გაუჭირდა ყოფნა და 1802 წელს პირდაპირ პეტერბურგს წავიდა... აქ წარსდგა იმპერატორ ალექსანდრე I-ის წინაშე და გულ დამწვარის გრძნობებით თვალ-ცრემლიანი შეევედრა ხელმწიფეს, რომ მისი შვილი კონსტანტინე მუხურის ციხიდგან გაენთავისუფლებინა და ამ უაღმატებულესის საჩუქრით მოელბო დედის დამწვარ-დადაგული მშობელი გული... იმპერატორმა შეიწყნარა ანნას თხოვნა და ჰბრძანა: გაიგზავნოს ქუთაისს, სოლომონ იმერეთის მეფესთან, განსაკუთრებითი მოხელე იმ მიზნით და მოწადინებით, რომ ურჩიოს მეფეს კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლება და პეტერბურგში ჩემთან გამოგზავნა...“ ამის შემდეგ არ გაუვლია რამდენსამე დღეს, რომ უმაღლესის განკარგულებით დაინიშნა კოლეჟსკი სოვეტნიკი სოკოლოვი იმერეთში გასაგზავნ მოხელეთ და დაევალა ზემოხსენებული საქმე, საქმე მძიმე და ძნელი შესასრულებელი...

სოკოლოვმა ბევრი საიდუმლო წერილი და ქაღალდი წამოიღო თან, მაგრამ იმ მრავალთა შორის ყველაზედ უფრო საინტერესო იმერეთის მეფის სახელზედ მიცემული სიგელი იყო. ამ სიგელში ეწერა: „მე სრულებით დარწმუნებული ვარო, ამბობდა ხელმწიფე ალექსანდრე I, რომ სოლომონ მეფე, გაიგებს თუ არა სოკოლოვის მისვლის მიზანს, ჩემს თხოვნას პატივსა სცემს და დაუყოვნებლივ აღასრულებსო, რადგან ჩვენ ერთმანეთს შორის კავშირს და უზენაესს მეგობრობას ამტკიცებს და ამრავალკეცებს ერთი სარწმუნოებრივი რწმენა და მეზობლური სიახლოვეო...

II

უმაღლესის განკარგულებით დანიშნული მოხელე სოკოლოვი 1802 წელს 28 ივნისს ქ. მოზდოკს მოვიდა და წესისამებრ პირველად ამ ქალაქის კომენდანტს გამოეცხადა. აცნობა, თავისის მოგზაურობის მიზანი და მოსთხოვა 90 კაცი მცველებად გაეტანებია, რადგან ისეთი საშიში გზები უნდა გაევლო, სადაც სიკვდილი ადვილი მოსალოდნელი იყო. კომენდანტმა დაუყოვნებლივ შეასრულა სოკოლოვის თხოვნა და 30 ივნისს 90 კაცის თან ხლებით სოკოლოვი მოზდოკიდგან გამოვიდა. სოკოლოვმა გარდასწყვიტა რაჭით გადასულიყო იმერეთს, რადგან ამ გვარად ძლიერ შეიმოკლებდა გზას. მოგზაურობა რაჭის მთებში და გაუვალს ადგილებში ძლიერ ძნელი იყო. მიზეზიც ეს იყო, რომ სოკოლოვი მოზდოკიდგან რაჭის სოფლებში მისვლას თითქმის ერთს კვირაზედ მეტს მოუნდა. აქ სოკოლოვს კაი ხანი მოუხდა დგომა, რადგან მას აქ ელოდა მეფისგან გამოგზავნილი თავადი ჯაფარიძე. მეფე სოლომონმა წინ-და-წინვე იგრძნო, რომ სოკოლოვი კაი საქმისათვის არ იქნება გამოგზავნილიო, გაგზავნა ს. ღებს დავით ჯაფარიძე, დაავალა მას, რომ შეეტყო სოკოლოვის მოსვლის მიზანი, ჩუმად, ფარულად და სოკოლოვის მხრივ ეჭვ-აუღებლად. სოლომონ მეფე ამ დროს სოფ. ღებიდგან ორის ვერსის სიშორეზედ იდგა სოფელში და გულის ძგერით ელოდა საქმის გათავებას... თ. ჯაფარიძე გამოეცხადა სოკოლოვს და მოახსენა, რომ მეფემ მისი თავი აახლა გზაში მცველად და მფარველად, როდესაც ისურვებთ გიახლებით და მგზავრობის დროს სრული უზრუნველ-ყოფილი ბრძანდებითო... სოკოლოვმა ამ გვარის პატივისცემისათვის გრძნობით მადლობა გამოუცხადა და ისურვა მეორე დღესვე წასულიყვნენ ს. ღებიდგან. თ. ჯაფარიძეს სრულებითაც არ უნდოდა, რომ სოკოლოვი ასე მალე წასულიყო ს. ღებიდგან, მაგრამ სხვა რომ ვერა მოახერხა-რა, დაყოვნების მიზეზი ხან უამინდობას დააბრალა და ხან ცხენების უშოვნელობას, ასე რომ ორი დღე მაინც დაარჩინა აქ, მაგრამ გაგებით მაინც ვერა გაიგო-რა მისგან... 10 ივლისს სოკოლოვმა

---

*) ეს წერილი ამოღებულია არქეოლოგიურ კომისიის აქტების I ტომიდგან.

ას ზუმი მტერი, თუ ძალიან გვიან გამოჩნდა დანაკარგი), რომელმაც ცხენზედ თუმანი გაიარა და ცხენები შორი-ახლოს გაუშვა...

ვნახოთ ახლა, სოფლებში რადა ხდება. შორეულს მაგალითებს რომ არ გამოვეკიდოთ, ამ შემოდგომისას გავიხსენებ: სოფ. ფშაველიდგან დაიკარგა ჯერ ცხენი, მერე გამეჩი, ერთი ხარი და რამდენიმეც ცხვარი. ბოლოს დაიკარგა ხუთი ცხენი, რომლებიც სწორედამ სწორამდე არსად არა ხჩანდნენ. მერე გამოჩნდა მთხრობელი, რომელმაც შვიდ თუმან-ნახევარი წაიღო სამთხრობელო, ცხენები-კი დამე მორეკა სოფელში და ზუმად გაუშვა. სოფ. ლალისყურიდგან დაიკარგა ორი ძროხა. სოფ. ბაბანეურიდგან — უღელი კამეჩი და ერთი ცხენი... სოფ. მაღრანიდგანაც დაიკარგა ცხენები და საქონელი. ამ ჩვენის ახლო-მახლო სოფლების მაგალითებიდგან თამამად შეიძლიან დავასკვნა, რომ კახეთის სხვა სოფლებიც არ იქმნებიან ამ სენისაგან თავისუფალნი. მაგრამ ზემოდ ჩამოთვლილ სოფლების ქურდობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ამ სოფლების ბოლოებზე, ალაზნის ჭალებიანსა და ბარდებიანს ნაპირებზედ ბინადრობენ ზამთრობით მწყემსი თათრები, რომელთაც „მუქთი ჩიჩია" ძალიან უყვართ და ზნეობრივი სწავლა არამც თუ არა ჰსჯისთ, გაქურდობა-გაიკაცობაში უთვლისთ. გონებრივი განვითარებაც ხომ ზნეობრივს არ აღემატება... იშოვნეს საკლავი, ახლა სხვა მოთხოვნილებანი აქვთ, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც საჭიროა ოქრო-ვერცხლი. აქ ჯერი ახლა ცხენების პარვაზედ მიდგება ხოლმე. იციან ისიც, რომ ნაპარევს ცხენს ახლანდელს დროში შორს ველარ გაიყვანენ. მაშ როგორ დაეხურდათ ოქროზე? ამისათვის მოიგონეს უბრალო ხერხი—მთხრობლობა, რომლის საშუალებითაც ბოლოს ოქრო-ვერცხლს შოულობენ.

კახეთში ამ ჟამად ზამთარი ზამთარს არასფერში ჰგავს; სასტიკათ თბილი ამინდებია. ყველა ხარობს, გარდა მხვნელ-მთესველისა, ვაი თუ ამისთანა ამინდებს მოსავალი არ მოჰყვეს და წარსულ წლებივით დავიღუპნეთო.

ფშაველიშვილი.

ნარკვევი.

„ცნობის ფურცლის" მეთაურებისა და საპროგრამო წერილების ავტორმა ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ იქმნება ბოლოს ნამდვილი გულის ნადები გაგვაცნოს?

ჩვენ, რასაკვირველია, ამითი საყვედურის თქმა არ გვინდა, მაგრამ ის-კი საგულისხმოა, რომ თავისს პროგრამას ნელ-ნელა ჩვენსას უთანხმებს და კატეგორიულად აღიარებს, რომ კლასთა ბრძოლის პრინციპისა და ეროვნებისადმი მიდრეკილების შეთანხმება შეიძლება, მაგრამ იმავე დროს თითქოს ირყევა, „გულსა მისსა და გონებასა მისსა სავსებით ვერ ურწმენიეს მართალი ესე" და შენიშნავს.

> «რომ ჩვენს კლასთა და წოდებათა შორის ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია კავშირი და რომ ეს კავშირი არსებობს კიდევაც. ხოლო არასოდეს ჩვენ არ გვავიწყდებოდა, რომ ამ კავშირს და წოდებათა და კლასთა გაერთიანებას აქვს თავისი საზღვარი. აი ეხლა სწორედ ამ საზღვარზედ გვინდა მოველაპარაკოთ მკითხველს და ამასთანავე მივცეთ პასუხი იმაზედაც, რა საფუძველი უნდა ჰქონდეს ჩვენს ეროვნულ შენობას.

საზღვარი უთუოდ დროებითი, თორემ საბოლოოდ, თუ ჯორჯაძეს პროგრესსი და სოციალური ევოლიუცია სწამს, საზღვარს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს, გაერთიანება უსაზღვრო უნდა იყოს. დროებითი საზღვარი-კი, გარდამავალ დროისა ვგონებ, არც ჩვენ დაგვიწყებია ოდესმე.

მაგრამ საყურადღებოა არა მხოლოდ ეს გარემოება. ყური დაუგდეთ, ბ-ტონო, აუცილებლობას კლასთა ბრძოლის პრინციპისა და ეროვნების შეთანხმებისას რა რიგ ამტკიცებს ჩვენი პატივცემული ავტორი:

> „რა ნაირად შეიძლება შევათანხმოთ ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება? ეს კითხვა შეიძლება სამნაირად გადავსწყვიტოთ. პირველი გადაწყვეტილების მოსაზრებით, კლასთა ბრძოლა და ეკონომიური განხეთქილება არ შეესაბამება ეროვნულ თანხმობას და მთლიანობას და ამისთვის უნდა იყოს უარ-ყოფილი. მეორე გადაწყვეტილების მოსაზრებით, ეროვნულ თანხმობის პრინციპი არ შეესაბამება ცხოვრებაში არსებულ კლასთა და წოდებათა შორის განხეთქილებას, და ამისათვის ეროვნულ თანხმობის პრინციპი უნდა იყოს უარ-ყოფილი. მესამე გადაწყვეტილების მოსაზრებით, ეროვნული თანხმობა შესაძლებელია მათ შორის, ვინც ეკონომიურად და პოლიტიკურად არიან დაკავშირებულნი, ე. ი. ხალხისა და სხვა წოდებათა და კლასთა იმ წარმომადგენლებისა, რომლისთვინაც ეროვნება ხალხის დაჩაგვრის იარაღი კი არ არის, არამედ იმის განვითარებისა.
>
> პირველი მოსაზრება უნიადაგო ეროვნების დამცველია, რადგან ეკონომიურ წინააღმდეგობის უარყოფა და არ დანახვაა მშრომელ ხალხის (ქალაქისა თუ სოფლისა) გაჭირვებულ მდგომარეობისა. შეგნებული ნაწილი ხალხისა ზურგს აუქცევს ამგვარ ეროვნების ქადაგებას.
>
> მეორე მოსაზრება, ლოღიკურად განმარტებული, ეროვნების უარ-ყოფამდე მიგვიყვანს.
>
> მესამე მოსაზრების ძალით, შეიძლება დაცული იყოს ეროვნული პრინციპის და ხალხის მატერიალური კეთილ დღეობაც, და ამის განმარტებაა საჭიროო.

დიახაც, მაგრამ ნუ-თუ იცით მაგალითი იმისა, რომ რომელსამე საზოგადოებას უარეყოს თქვენი დასკვნა? მაშ ახალს თქვენი წერილი რას გვაუწყებს, აღარ ვიცით. ამ დასკვნას „ივერია" დიდი ხანია დაადგა და ასრულებს კიდევაც, მიუხედავად იმისა, რომ გადაკიბვ-გადმოკიბვით ზოგი საგანს განგებ მოჩვენებულს ყალბს ტყავში ახვევდა ბევრჯელ და ჩვენ დახავსულობას გვიკიჟინებდა.

თუ არა გჯერათ, ბ-ნო, იგივე წერილი ცოტა ქვევით ჩავიკითხოთ:

> ერთს ჩვენს ნაწერში (ცნ. ფ. № 1490) ვამბობდით: „განა ჩვენი ხალხის ყველა ნაწილი ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა, განა ძველ დროში არ იყო ნივთიერი უთანასწორობა, ღარიბი და მდიდარი, ბედნიერი და უბედური? ჩვენის ისტორიის ზედაპირული შესწავლაც გვეუბნება, რომ წარსულში, თუ არ მეტი, არა ნაკლები ქონებრივი უთანასწორობა იყო ჩვენში და რომ წოდებათა დაყოფვას ღრმა ეკონომიური საფუძველი ჰქონდა. ნივთიერი ძალა ერთი წოდების ხელში იყო. ასე რომ ეკონომიური განხეთქილება, კლასთა შეუგნებელი უთანხმობა ძველ დროშიაც იყო. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ხალხი რიღათითაც დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაური მონობა ერჩივნა გარეშე ძალის მონობას. ეს რაღაც იყო — ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და ისტორიული ტრადიცია...»

რასაც დიდი ხანია ჩვენი გაზეთი არკვევს და აცნობს მკითხველებს... მაგრამ ვაი, რომ ძველი ადამიანს ადვილად ავიწყდება. იმედია, ბ-ნი ჯორჯაძე საბოლოო დასკვნაში მაინც დაგვეთანხმება.

წვრილი ამბები

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, სულით ავადმყოფთა რიცხვი ინგლისში წლით-წლობით მრავლდება. წინა წელთან შედარებით, შარშან, მაგალითად, ინგლისში საკმაოდ იმატა ამ გვარ ავადმყოფთა რიცხვმა. იგი მარტო ლონდონში 16,358-დგან 21,369-მდე ავიდა. ეჭვი არ არის, ამ სამწუხარო მოვლენას რამდენადმე სამხრეთ-აფრიკის ომმაც შეუწყო ხელი. ინგლისელი ბუნებით სხვებზედ მეტადგოისტია. სიმდიდრე და დიდება — აი ის, რაც ყველაზედ მეტად იზიდავს ინგლისელს. განვლილ წელს-კი ინგლისის ცხოვრებას ამ მხრივ ძლიერი კრიზისი ეწვია. ომმა დიდძალი სალხი იმსხვერპლა; ბირჟა მოიდუშა, ფლოტს, ინგლისის ამ სიამაყეს, მრავალი ნაკლულევანება აღმოაჩნდა. ყველა ეს, რასაკვირველია, გავლენას იქონიებდა ინგლისელთა სულიერს ვითარებაზედ. საყურადღებოა მახლობელი მიზეზები სულით ავადმყოფობისა. სლავიანთა და ლათინთა ერებს შორის უმთავრესს მიზეზს სულით ავადმყოფობისას სიყვარული და ეჭვიანობა შეადგენს. ინგლისის სტატისტიკა სხვა მიზეზებს გვიჩვენებს ინგლისელთა ავადმყოფობისას, სახელდობრ: ლოთობას, პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ეგზალტაციას, მემკვიდრეობით ნაკლულევანებებს. ათას ავადმყოფში ოთხას-ხუთი ლოთობის მიზეზით გამხდარა ავად. ამას გარდა ლონდონის შეძლებულ კლასთა შორის უფრო მრავლდება მელანხოლიით, იპოხონდრიით და სხვა ამ გვარ სენით ავადმყოფთა რიცხვი.

ლონდონში ერთს მიტინგზედ საყურადღებო სტატისტიკური ცნობები წაუკითხნიათ ადგილობრივ პროლეტარიატის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ბრიტანიის სატახტო ქალაქში ერთის მილიონ მცხოვრების სადგომები თითო ოთახისაგან შესდგება, 216 ათასი კაცი ოთხ-ოთხი ცხოვრობს თითო ოთახში, 40 ათასი—შვიდ-შვიდი თითო ოთახში. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ცხოვრება უნდა ჰქონდეთ ამ უბედურთ: შვიდ-შვიდი სული ჭუჭყიან და ბნელს ოთახში! მამაკაცნი ცხოვრების სიმწარისაგან ნუგეშსა და ლხენას ტრაქტირებში ეძებენ, ბავშვები კიდევ თითქმის ქუჩებში იზრდებიან.

* *

ჩრდილოეთ ვალისის ერთის უნივერსიტეტის რექტორს სასტიკი ბრძანება მოუხდენია სტუდენტთა საყურადღებოდ. რექტორის აზრით, არა ნორმალური ურთიერთობა დამყარებულია სტუდენტ ვაჟთა და ქალთა შორისს. მაგალითად, სტუდენტი ვაჟები ქალებს აცილებდნენ თურმე უნივერსიტეტიდამ სახლამდე, ერთად დასეირნობდნენ და სხვა. ყველა ამ „უწესოებასა" და „უზნეობას" საშინლად აუღელვებია რექტორის კეთილშობილი გრძნობანი. „ბრძანებაში" რექტორი სასტიკად უკრძალავს სტუდენტ ქალებსა და ვაჟებს ერთად სეირნობას, ერთმანეთის გაცილებას, უნივერსიტეტში ერთმანეთთ შორის ლაპარაკს. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, იმას გამორიცხვა მოელის. ბრძანებაში ისიც-კია განზრახული, სად და როდის შეუძლიანთ სტუდენტებს შეხვედრა და ლაპარაკი: ლექციებსა, სადამოებზედ და სხვაგან.

* *

ესპანიის ტახტის მაძიებლის, პრინცის დონ-კარლოსის ოჯახში ახალი „ისტორია" მოხდა. დონ-კარლოსის ქალმა, ელვირამ ყურადღება აღარ მიაქცია არც თავისს კეთილშობილს „სისხლს" არად ჩააგდო არც პრინცესს სახელი, არც მამის სასახლეები და უბრალო მხატვარს გაჰყვა. მამამ წყევა-კრულვით დააჯილდოვა თავისი ქალი. ამ გვარი ამბები ახალი არ არის. უწინაც პრინცესები ხშირად სცვლიდნენ პრინცებს არა პრინცებზედ. ორმოცის წლის წინად შვარცბურგის პრინცესას შარლოტას ახალ-გაზრდა ოფიცერი შეუყვარდა. პრინცესა მაშინ 40 წლისა იყო. მახლობელთა მეცადინეობამ ვერაფერი გააწყო, და ორმოცის წლის პრინცესა ახალგაზდა ოფიცერს მისთხოვდა. ჯვარის დაწერამდე ოფიცერს გრაფობა უბოძეს. ასეთი ისტორია ვიტემბურგის პრინცესას პაულინასაც შეემთხვა, რომელიც ექიმს ვილეინს მისთხოვდა. ამ პრინცესამ შემდეგში დიდი გაჭირვება და სიღარიბე გამოსცადა. არც გაჭირვება და სიღარიბეა ახალი ხილი გვირგვინოსანთა და იმათ მახლობელთათვის. გაიხსენეთ საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. ამ რევოლიუციის შემდეგ ორლეანის ჰერცოგი გაკვეთილებით სცხოვრობდა შვეიცარიაში, იმისი მახლობელი ნათესავი კონდეც პედაგოგიის მეოხებით ინახავდა თავს გერმანიაში. სხვა მაგალითებს აღარ გამოვუდგებით.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ყველა იმათ, ვინც კეთილ ინება და ჩემდამი რწმუნებულს კალაგონის სამრევლო სკოლას ფულად შემწეობა აღმოუჩინა.

წარსულის წლის ენკენისთვის პირველს რიცხვებში ქ. ტფილისში შევკრიბე ქართველ ყმაწვილების აღზრდის თანამგრძნობელთა შორის ხსენებულის სკოლის სასარგებლოდ 85 მან. და 50 კაპიკი.

სია შემომწირველთა: დიმიტრი იესეს ძე ხუნდაძემ შემოსწირა 28 მან., ანდრო გიგოს ძემ, პორფირე ყაფლანისძემ, ალექსი იესეს ძემ და ვლადიმერ ყაფლანის ძემ ხუნდაძეებმა — ხუთ-ხუთი მანეთი; ნესტორ მაქსიმეს ძე აბაშიძემ და გასიანე გვირკელიამ — სამ-სამი მანეთი; დანიელ კონსტანტინეს ძემ, ილიკო დავითის ძემ, ლავრენტი იოსების ძემ, თევდორე სიმონის ძემ, სილოვან დავითის ძემა და მიხეილ ეგ. ხუნდაძეებმა — ორ-ორი მანეთი; აპოლონ ერმანოს ძემ, აპოლონ პართენის ძემ, ექვთიმე სამსონის ძემ, ლევანტი ელიზბარისძემ, ვარლამ იოსების ძემ და შაქრო იესეს ძემ ხუნდაძეებმა, პარმენ იუდონის ძე სანადირაძემ, გიორგი მ. მჟავიამ, ნესტორ ჩაჩუამ, ილიკო მჟავიამ, სევერიანე ყენიამ, ადი ბაბილაიამ და ერმილე მესხმა — თითო მანეთი; ვასო გ. გოგიტაძემ, მელქო ყენიამ, კოსტა ლომიძემ, ნიკო ბებეშკორმა, პავლე ვერულაიამ, კოსტა ხუხუნაიშვილმა, სილოვან ლევანის ძე ხუნდაძემ, თომა ყენიამ, ილიკო კ. ხუნდაძემ, ეგნატე ს. ქორიძემ, სამსონ კილაძემ, კარაპეტ ბეურქოვმა და და იუსტინე ნიკოლაიშვილმა — ათ-ათი შაური.

ეს ფულები ხარჯის (13 მ. 50 კ.) გამორიცხვით გარდავეცი ხსენებულის სკოლის მზრუნველებს, რაიცა სკოლის გაფართოება-გამშვენიერებას მოახმარეს.

შემომწირველთ უღრმესს მადლობას ვუცხადებ და ვუსურვებ კალაგონის (ნივთიერად ჯერ კიდევ დაქვეითებულს) სკოლას კვლავ აღმოსჩენოდეს ასეთნი გულშემატკივარნი.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო უხვი შემოწირულება ბ. დიმიტრი იესეს ძის ხუნდაძისა, რომელიც ორი წელიწადია ხსენებულს სკოლას „კვალსაც" და „ჯეჯილსაც" აწვდის. ამასთანავე უხვი შემოწირულება გამოიღო აქაურის ახლად აშენებულის ეკკლესიისათვის: ფულად [illegible] მანეთი, კანკელის გაკეთება, როდესაც ეს საჭირო იქნება და ეკკლესიის გალავნის გასაფართოვებლად მიწა, შემოფასებული 250 მანეთად. ასეთის სიკეთისათვის აქაურმა მრევლმა თხოვნა მიართვა ყოვლად უსამღვდელოესს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომ მისს მეუფებას ხსენებული ხუნდაძე რაიმე ჯილდოზედ წარედგინა. იმედია, ყოვლად სამღვდელო მრევლის შუამდგომლობას ყურად-იღებს.

ოზურგეთის მაზრის ს. კალაგონის სამრევლო სკოლის მასწავლებელი **სიმონ რამიშვილი.**

დეპეშა

7 იანვარი.

ვარშავა. თევზის მომშენებელთა მომავალს კრებაზე პეტერბურგში თევზის მოშენებისა და ჭერის საზოგადოების ვარშავის განყოფილების წარმომადგენელი შეიტანს წინადადებას, რომ თევზების ქიმიურ საშუალებით ხოცვა წყლებში კანონმდებლობით იქმნას აღკრძალული.

მადრიდი. იანვრის 6-ს აქ გარდაიცვალა ინფანტინა ქრისტინა.

ბრააფრეინეტი. ბურების კომანდირს შეპერსს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და დახვრიტეს.

ვაშინგტონი. კანტონიდგან იტყობინებიან, ნაუხუნგში (კვანტუნგის თემში) საფრანგეთის მისსიონერი მოჰკლესო.

შანჰაი. პეკინიდგან მოვიდა ნამდვილი ამბავი, რომ ტუნ-ფუნ-სიანს თავი მოსჭრეს იანვრის 2-ს.

კალკუტა. აქედგან მალე წავა სამხრეთს აფრიკაში 600 ადგილობრივი ჯარის-კაცი.

სოფია. გამომჟღავნდა დიდი ხნის წინად ჩადენილი ბოროტების ამბავი: სახელმწიფო სტამბის ასოთ-ამწყობთ უპარავთ და უყიდნიათ ფურცლები ღერბის მარკებისა. ხაზინის ზარალი ათ მილიონამდე ადისო. ზარალის რაოდენობა გადაჭარბებული უნდა იყოს.

იანვარის 8-ს

პეტერბურგი. იანვრის 7-ს გარდაიცვალა სახელმწიფო რჩევის წევრი მ. პ. ფონ-კაუფმანი. გაიოცხადებულია შემდეგნი უმაღლესნი უქაზები: ფიელიანდიის გუბერნატორის თანახმად. აღმასრულებელი გენერალ-მაიორი პაშოვი დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზე. მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მმართველი ლენინს ებრძანა იყოს იმავ დეპარტამენტის დირექტორად; ტავრიდის გუბერნატორი ლაზარევი დაინიშნა დამსწრე სენატორად უმართებულეს სენატში.

პარიჟი. პალატა. ბერრის შემოაქვს შესახებ იმ უარისა, რომელიც გააგის სამედიატორო სასამართლომ უთხრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებს შუამდგომლოდის შესახებ და აცხადებს თევისს მწუხარებას, რომ სამედიატორო სასამართლოს გარდაწყვეტილება შეეხება მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც კონვენციაზე აწერენ ხელს. აბბატი ლემირი ამბობს, რომ ტრანსვაალს ერთმა სხვა სახელმწიფომ იმედი მისცაო და მოიყვანა სიტყვები ერთის მინისტრისა, რომელსაც უთქვამს, რომ ტრანსვაალი ინგლისისათვის სამარედ გარდიქცევაო. საფრანგეთმა უნდა

საღამოს ჟამს მიაწია თ. ჯაფარიძის სოფლამდის... აქ შეეგებნენ მას სოფლის მცხოვრებლები და ღამის გათევა სთხოვეს. სოკოლოვი დასთანხმდა და ღამის გასათევად აქ დაბინავდა... სოკოლოვს ჰსურდა აქედგან მეფესთან თავისი მოხელე იაკოვლევი გაეგზავნა და ეცნობებინა მეფისთვის მისი აქ ყოფნა, მაგრამ ამაზედ თ. ჯაფარიძემ მოახსენა, რომ მე, როგორც მოურავმა, ეს ამბავი მეფეს დიდი ხანია ვაცნობეო და კაცის გაგზავნა თქვენ მხრივ სრულებით მეტი და უადგილოც იქნებაო... სოკოლოვმა დაიჯერა თ. ჯაფარიძის სიტყვა და მეორე დღეს ქ. ონში იყვნენ... აქ გადმოვიდნენ თუ არა, თ. ჯაფარიძემ პირდა-პირ უთხრა სოკოლოვს, რომ აქედგან ვერც სამ-ოთხს დღეს გავალთო, რადგან ეს ადგილები უბალახო ადგილებია, და მცხოვრებლებს ცხენები ყველა მთებში ჰყავთ გარეკილიო... უნდოდა თუ არა სოკოლოვს, მაინც უნდა დარჩენილიყო ონში და ეცადა თ. ჯაფარიძის განკარგულებისათვის... გავიდა სამ-ოთხი დღეც, მაგრამ ჯაფარიძეს ცხენებზედ არც-კი უფიქრია... ერთს დილას შევიდა სოკოლოვთან და მოახსენა: სოლომონ მეფეს უნდოდა აქ ჩამოსვლა, მაგრამ, რადგან გარემოებამ ნება არ მისცა, ამისათვის თქვენ გთხოვთ, სოფ. ხოწენარში მობრძანდეთ და მინახულოთო... სოკოლოვი მეორე დღესვე გამოეწყო ს. ხოწენარში წასასვლელად, მაგრამ, ცხენების უქონლობის გამო, ჯაფარიძემ ისევ შეაჩერა წასვლა და ურჩია, რომ მეფე აქ ამ ორს დღეში უსათუოდ მოვა და თქვენი იქით წასვლა სულ მეტი იქნებაო. სოკოლოვმა ეჭვი აიღო ჯაფარიძის სიტყვების სიმართლეზე და მოინდომა უსათუოდ წასულიყო... აქ კიდევ დაუდგა წინ თ. ჯაფარიძე და მოახსენა: მეფისაგან დღეს მომივიდა წერილი, რომელშიაც მწერს: დიდად ვწუხვარ, რომ საქმეების გამო ამდენ ხანს დავაყოვნე თქვენი ნახვაო, მაგრამ ამ დღეებში უსათუოდ გინახულებთო. სოკოლოვი გაჯავრდა და წყრომით უთხრა თ. ჯაფარიძეს:

— თავადო, მითხარით გარდაწყვეტით, რას მატყუებთ? რისთვის მიხლართავთ გზებს? მითხარით, რა მიზეზია, რომ სოლომონ მეფემ ჩემი მიღება ასე გააჭირა?

— რა, ბატონო ჩემო, და ისა, რომ მეფე აქედგან 16 ვერსის მანძილზედა სცხოვრობს... უთხრა თ. ჯაფარიძემ. აქ ჰოვიდა მხოლოდ ომის გამო. ოდიშის მთავარს დადიანს მეფემ ომი გამოუცხადა და ამ ომში ჩვენი მეფე შეიძლება დამარცხებულიც დაგვირჩეს, ეს ომი მეფისთვის საკეთილღღეოდ არ თავდება, ეს გარემოება მეფეს დიდად აწუხებს და აღარდიანებს..., მეფეს არ ჰსურს, რომ თქვენ, როგორც უცხო კაცი და უცხო ხელმწიფის წარმომადგენელი, დაესწროთ ამას მოწმედ და მისი ამ გვარი დამარცხება საქვეყნოდ გაიტანოთ..როგორც ეს, ისე მეფის სიყმაწვილეც და გამოუცდელობაც პატივ-სადებია ამ შემთხვევაში და იმედია მოგვიტევებთ, თუ გვპოვეთ რაშიმე დამნაშავე...

ამ გვარის ტკბილის, თილისმურის სიტყვებით შეუხვია თავი თ. ჯაფარიძემ სოკოლოვს, თუმცა-კი ნამდვილი მიზეზი მეფის უნახაობისა სულ სხვა იყო. დაიპყრო თუ არა მეფემ ლეჩხუმის მაზრის სოფლები, იმ წამსვე შეუდგა მათს დაფიცებას, რადგან ეშინოდა რაიმე ცუდი გავლენა არ ჰქონებოდა სოკოლოვის მოსვლას მათს განთავისუფლებაზედ და რადგან ეს საქმე ასე საშიშო იყო, მეფე ამას უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა, ვიდრე სოკოლოვის მიღებას და პატივისცემას...სოკოლოვისა მით უფრო ეშინოდა მეფეს, რომ ჯერ მისის მოსვლის მიზანი არ იცოდა, ვერც შეიტყო და მეორეც მთელმა იმ ერეთმა იცოდა, რომ თ. დადიანი დიდის მოწიწებით სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს ქვეშევრდომობას.მეფეს ყველაზედ უფრო ის აწუხებდა, რომ რუსთა ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე I-ის გამოგზავნილს სიგელში არ იცოდა,რა ეწერა. ეს სიგელი სოკოლოვს ჰქონდა და პირდა პირ მეფისათვის უნდა გადაეცა. მეფეც დიდის შიშით მოელოდა იმ დროს, როცა მას ეს სიგელი ხელში ექნებოდა და მისი შინაარსი ასე საშიში და საინტერესო აღარ იქნებოდა მისთვის. მაგრამ მაინც ვერ გარდასწყვიტა სოკოლოვის მიღება, ვიდრე ამ სიგელის შინაარსს არ შეიტყობდა. ამისთვის არა ერთ-გზის მისწერა თ. ჯაფარიძეს ბარათი და სთხოვა, როგორმე შეეტყო იმ სიგელის შინაარსი... თ. ჯაფარიძეც ბევრს ეცადა, ყოველი ღონის-ძიება იხმარა,, მაგრამ ვერას გახდა. სოკოლოვიც ეჭვით უყურებდა თ. ჯაფარიძეს და არაფერს საიდუმლოს მას არ უმჟღავნებდა... ამ ამბავმა ძრიელ დააფიქრა მეფე, დღე არ ეძინა და ღამე. ფიქრობდა: მივიღო სოკოლოვი, ვაი თუ რაიმე იყოს საშიში ხელმწიფის გამოგზავნილს სიგელში და ჩემი თავი მევე დავიღუპოვო; არ მივიღო, კიდევ უარესი: გაიგებს ხელმწიფე, რომ არც მისს გამოგზავნილს კაცს ვღებულობ და არც მის მიერ გამოგზავნილ სიგელს ვაფასებ"-ო. დიდხანს ყოყმანობდა მეფე, დიდხანს იტანჯებოდა ამ გვარის ფიქრებით და ბოლოს ყველაფერი დროს და გარემოებას მიანდო, გარდასწყვიტა: მივიღებ და შევხვდები ისე, როგორც იქნება, რა ქეიფზედაც ვიქნებიო...

რამდენისამე დღის შემდეგ სოკოლოვმა დააპირა წასვლა იმ სოფელში, სადაც სოლომონ მეფე იყო დაბინავებული და გარდასწყვიტა პირდაპირ ენახა და მოჰლაპარაკებოდა, მაგრამ თ. ჯაფარიძემ აქაც უხრიკა და დანიშნულ სოფლის მაგიერ სოკოლოვს ს. ბარში ამოაყოფინა თავი... აქ სოკოლოვი მიჰხვდა, რომ თ. ჯაფარიძემ ისევ თავისებური ოინები იხმარა, მოიწონა და გარდაწყვეტილათ უთხრა: „თუ ხვალ ცხენები არ გიშოვნია და კაცი არ გაგიგზავნია სოლომონ მეფესთან ჩვენის მოსვლის შესატყობინებლად, მე ჩემს მოხელეს იაკოვლევს ქვეითად ვგზავნი და თქვენს ოინებსაც დაწვრილებით მოვახსენებ სოლომონ მეფესაო". თ. ჯაფარიძემ შეატყო თუ არა სოკოლოვს გაჯავრება, იმ წამსვე დატრიალდა თავისებურად, შეუხვია თავი ტკბილის მოხერხებულის სიტყვებით და დაარწმუნა, ხვალ უსიკვდილოთ წარვსდგებით სოლომონ მეფის წინაშე და ბედნიერება გვექნება პირისპირ საუბრისაო. თ. ჯაფარიძის თილისმურმა სიტყვებმა თუმცა ცოტათი-კი დაამშვიდა სოკოლოვი, მაგრამ მისი ნალაპარაკევი ღირს სარწმუნო მაინც ვერ გახადა და მეორე დღეს დილით ადრე შესვა თავისი მოხელე იაკოვლევი ცხენზედ და გაგზავნა მეფესთან. თ. ჯაფარიძეს, რაკი აღარაფერი გაეწყობოდა, ამ იაკოვლევს თავისი ძმაც თან აახლა და გაისტუმრა... იაკოვლევის წასვლამდის თვითონ გამოიხმო სოკოლოვი და საიდუმლოდ უთხრა: „რადგან თქვენს ნებაზედ ვერ გემსახურეთ, თუ ცხენების უშოვნელობით, თუ გზების უვარგისობით და თუ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, ასე რომ დანიშნულ ვადაზედ დაგვიგვიანეთ მეფის ნახვა, იმედია, გვაპატიებთ და ხელმწიფე იმპერატორს ამას არასფერს არ მოახსენებთო. ამასთან გარდაეცით იაკოვლევსაც, რომ მეფეს ორი კაცი ჰყავს თანაგამზრახად: ერთი თ. ქაიხოსრო წერეთელია და მეორეც მოურავი ჯაფარიძე. ეს ორივე საშიში პირებია და უფრთხილდეს მათ... ეცადოს, რომ მათ არ ჩაუვარდეს ხელშიო...

თ. ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება)

ეცადოს, რომ ომი მალე გათავდეს. ლეონ ბურჟუს აღიარებს, რომ გააგის კონფერენციამ აქამომდე ვერ მოიტანა მოსმლოდნელი ნაყოფი, ხოლო მომავალი მაინც არ არის უიმედო; სახელმწიფოეკი დათანხმდნენ ტრანსვაალის გამორიცხვას მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე შედეგამდე მიეღწიათ; არავითარი სავალდებულო სამედიატორო სასამართლო არ არის დაწესებული. დელკასემ უპასუხა, რომ მინისტრი არ უნდა ხელმძღვანელობდეს გრძნობითო; სახელმწიფოებს, რომელთაც კონვენციას მოაწერეს ხელი, სურდათ შეემცირებინათ ომის საშინება, მაგრამ მხედველობაში უნდა მიეღოთ ზოგიერთნი გარემოებანი, დელკასე ამბობს, რომ მე სიამოვნებით ვიკისრებდი შუაკაცობას, რომ ორივე სახელმწიფოები თანახმანი იქმნებოდნენო, მაგრამ ეს წარმოუდგენელიაო. პალატამ მიიღო ფორმულა საქმეების განხილვაზე მარტივის გადასვლისა.

კრადოკი. ტარკასტადტის სამოქალაქო გვარდიის 50 კაცის პატრულს მარესბურგის ახლო მოულოდნელად თავს დაესხა ვესსელის გუნდი. დაჰრილია ერთი. ქალაქში ცოტანი დაბრუნდნენ. დანარჩენებს ხვედრი ჯერაც არ იციან.

მოსკოვი. სასოფლო მეურნეობის განათლების მოღვაწეთა კრებამ დაადგინა: 1) რომ ყოველს სამეურნეო სასწავლებელში იყოს შტატას ექიმი, რომელსაც ხმის უფლება უნდა ჰქონდეს პედაგოგიურ რჩევაში და ასწავლიდეს რაიმე საგანს; 2) რომ ნემეცური ენის, გეოლეგიის, ხატვისა და მხატვყობის მასწავლებლები უფლებით გასწორებულ უნდ, იხმნენ, ხოლო უნდა იყვნენ უმაღლესის განათლებისაგანი და 3) რომ ბუნების მეტყველების მასწავლებლებად სკოლებში გამწესებულ იქმნან სასოფლო სამეურნეო უმაღლესს სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი.

პარიჟი- პალატა იხილავს გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტს- რუანე ასაბუთებს თავისს შეკითხვას სომხეთში ქლეტმ-ხოცვის შესახებ და ჰკითხულობს, საფრანგეთი ზნეობითად მოვალე არის თუ არა დაიცვას სომხები? დელკასსე ლაპარაკობს მიტილენის დაჭერის თაობაზე და ამბობს, რომ საფრანგეთი იცავდა იქ არა თუ ქვეშევრდომთა ინტერესებს, არაამედ ზნეობითი დარგისასაცო მინისტრიიხსენიებს იმ ხელ-ხეკრულებათ, რომელნიც იკისრა ევროპამ ბერლინის კონგრესზე; სომხების სასარგებლოდ საქმეში გარევა სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად თუმცა არ იყო მოხერხებული, მაგრამ საფრანგეთმა მაინც რამდენიმეჯერ გამოექომაგა კონსტანტინეპოლში სომხებს. ახლა საქმე იმაზედ კი არ არის მიმდგარი, რომ მოთხოვნილ იქმნას უპირატესობა ერთის რომლისამე ხალხისათვის, არამედ დამყარებულ იქმნას ყველასათვის სამართლიანობისა და უშიშროების სუფევა... ამის განხორციელება იქმნებოდა კარგის პოლიტიკისა და კაცთ-მოყვარეობის შედეგი და ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საფრანგეთი მიისწრაფება ამ საგნისაკენ. პალატამ მოიწონა მართებლობის განცხადება და შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას.

ბელფასტი. ჩამოინგრა კედელი და ჩაინგრა იატაკი სმიტფელდში სელის საქსოვ ქარხნისა; ბევრი მუშა ქვეშ მოექცა ნანგრევებს; ჯერ-ჯერობით ამოიღეს ათი მკვდრის გვამი.

პეტერბურგის ბირჟა, 4 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,20
პარიჟში „	37,65
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	374¾ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	258 გაყიდ.
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	87⅛ გაყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფულლ.	88⅜ გასყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	82½ მსყიდ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები „	457½ წვრ. გაყიდ.
„ კასპიის ამხანაგობისა.	3900 წვრ. გაყიდ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	310 წვრ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	146 „
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. 2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. 7) ს 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადებანი

ამერიკის ვაზის სანერგე მ. ა. ანანოვისა

იყიდება ამერიკის ვაზის რქა — ნერგები. **რიპარია** 8 მანეთიდგან 10 მანეთამდე ათასი (მეტრობით), **რუპესტრის** 10-დგან 14 მანეთამდე. **რქები** იმავ ჯიშისა, დასარგავად გამოსადეგი, ეღირება სამი მანეთი ათასი.

იქვე იყიდება ბოჭკები სხვა-და-სხვა ზომისა.

იკითხეთ: ამიერ-კავკასიის რკინის გზის **სადგ. რიონი**, ანანოვის მამული.

(5—266—1)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

„მწყემს“—ზე

და რუსულ ПАСТЫРЬ-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“ 3 მ.
— „ რუსული „ 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 5 „
6 თვით „მწყემსი“ 2 მ.
— „ რუსული „ 2 „
— „ ორივე გამოცემა 3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში** რედაქციაში, **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, **ტფილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**— დეკანოზ მ. გრიგოლ მჭაროვთან; **ახალსენაკში**— ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება **დ. ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება, დაიბარონ რედაქციიდგან.

(3—1)



როიალები

პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლებ ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.

25—6.—11

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА
„ВОСТОКЪ“ въ Баку

Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.

(10—261—6)

საყმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი
„ჯეჯილი“
წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თბილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თბილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**— „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артилер. ул., № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

მკურნალი
ნ. ფ. მულინი.
იღებს ყურით, ყელით და ცხვირით ავადამყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნ 17.

(წლ.)

ОТЪ РЕДАКЦІИ ГАЗЕТЫ „РУССКІЙ ГОЛОСЪ“.

Большое сочувствіе публики къ цѣлямъ, задачамъ и направленію газеты «Русскій Голосъ», выразившееся въ значительномъ наплывѣ подписчиковъ на оба изданія, вызываетъ нынѣ—при полной организаціи личнаго состава редакціи по всѣмъ отраслямъ знанія, литературы и искусства, равно корреспондентовъ въ Россіи и заграницей и т. д.—необходимость устройства типографіи специально для этой газеты, снабженной новѣйшими заграничными ротаціонными машинами и другими техническими усовершенствованіями, выдвигаемыми повсюду современностью.

Начатое еще мѣсяца четыре тому назадъ и оконченное въ концѣ ноября соглашеніе съ подобной, въ полнѣ оборудованной, казенной типографіей, не смотря на подписанный уже со стороны редакціи договоръ, не дало желательныхъ результатовъ, совпавъ съ распоряженіемъ о воспрещеніи печатанія въ ней вообще частныхъ работъ. Что-же касается частныхъ большихъ типографій, то тѣ, у которыхъ ротаціонныя машины были временно свободны, не могли, имѣя массу иныхъ заказовъ, дать необходимыя гарантіи въ своевременности и правильности выхода двухъ изданій газеты «Русскій Голосъ».

Въ виду вышеизложеннаго, выпускъ ихъ въ свѣтъ отлагается до времени полнаго оборудованія типографіи соотвѣтственно сложной организаціи подобныхъ политическихъ газетъ, расчитанныхъ не на короткій срокъ, а на долгое прочное существованіе.

Поэтому, подписавшіеся на первое или второе изданіе «Русскаго Голоса» и не желающіе выжидать времени устройства такой типографіи, благоволятъ обращаться за полученіемъ обратно своихъ взносовъ подписныхъ денегъ въ Главную Контору редакціи «Русскаго Голоса», С.-Петербургъ, Фонтанка, 54.

1 Р. 15 коп. три мѣс.

БОЛЬШАЯ
Ежедкевная газета и четыре иллюстр. журнала.
Второе изданіе
„Биржевыхъ Вѣдомостей“ и

1 Р. 15 коп. три мѣс.

Самостоятельный своихъ въ сужденіяхъ, чуждый тенденціознаго извращенія фактовъ, безусловно независимый органъ печати, ярко освѣщая всѣ явленія общественной жизни, имѣя огромную сѣть корреспондентовъ, эта газета при всей своей твердости и неуклонности, справедливая и безпристастная уже много лѣтъ является, несомнѣнно,

наиболѣе полнымъ
выразителемъ нуждъ провинціи.

Главные отдѣлы газеты, а въ особенности передовой, политическій, съ театра военныхъ дѣйствій, столичной и провинціальной общественной жизни.

СЪ ЕЖДНЕВНЫМИ ИЛЛЮСТРАЦІЯМИ
телеграммъ, корреспонденціи и пр.,—по своей полнотѣ и свѣжести совершенно отвѣчаютъ подобнымъ же отдѣламъ другихъ большихъ столичныхъ газетъ; въ ней нѣтъ ненужныхъ, несвязанныхъ, случайныхъ замѣтокъ, а ихъ замѣняетъ
ЖИВОЕ СЛОВО.

еженедѣльные журналы
2) „Огонекъ“
и двухнедѣльные журналы
3) „Здравіе семьи“,
4 „Общедоступныя моды“

Въ предстоящемъ году будутъ напечатаны:

„Русская темень‘, большой бытовой романъ *Вас. Ив. Немировича-Данченко.*

„Петровскіе дни“, историческій романъ въ двухъ частяхъ изъ эпохи Императрицы Екатерины Великой, *гр. Е. А. Саліаса.*

„Прерванный сонъ“ большой бытовой романъ *Г. Г. Ясинскаго.* (*Максима Бѣлинскаго*)

6 повѣстей и разсказовъ, ПРЕМИРОВАННЫХЪ на литературномъ конкурсѣ и мн. др.

Главная контора «Биржевыхъ Вѣдомостей». С.-Петербургъ, Мѣщанская, 25.

Подписная цѣна второго изданія »Биржевыхъ Вѣдомостей“, вмѣстѣ съ журналами и съ пересылкою: на годъ—4 руб. 60 коп., на 6 мѣсяцевъ—2 руб. 30 коп., на 3 мѣсяца—1 руб. 15 коп., на 1 мѣсяцъ—40 к.

Почтовыя и гербовыя марки въ уплату не принимаются.

Въ 1901 году болѣе 100,000 подписчиковъ.

(3—2)

Открыта подписка на 1902 годъ.

(*X-ЫЙ ГОДЪ ИЗД.*)

на ежемѣсячный литературный и научный журналъ

„РУССКОЕ БОГАТСТВО“

ИЗДАВАЕМЫЙ

Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

Подписная цѣна:

На годъ съ доставкой и пересылкой . . . 9 р.
Безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ . . 8 р.
За границу . . . . 12 р.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТРЯ:

ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ—въ конторѣ журнала—уг. Спасской и Басковой ул., д. 1—9.
ВЪ МОСКВѢ—въ отдѣленіи конторы—Никитскія ворота., д. Гагарина.

При непосредственномъ обращеніи въ контору или въ отдѣленіе, допускается РАЗСРОЧКА:

при подпискѣ . . . . 5 р. при подпискѣ . . 3 р.
или къ 1-му апрѣля. . 3 р.
и къ 1-му іюля . . . 4 р. и къ 1-му іюля. . 3 р.

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылка журнала прекращается.

Книжные магазины, библіотеки, земскіе склады и потребительныя общества, доставляющіе подписку, могутъ удерживать за коммиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра.

Для городскихъ подписчиковъ, въ Петербургѣ и въ Москвѣ *безъ доставки* (за исключеніемъ книжныхъ магазиновъ и библіотекъ) допускается разсрочка по 1 р. въ мѣсяцъ съ платежомъ впередъ: въ дакабрѣ за январь, въ январѣ за февраль и т. д. по іюль всключительно.

Подписка въ разсрочку *отъ книжныхъ магазиновъ, библіотекъ, земскихъ складовъ и потребительныхъ обществъ* не принимается.

(3—2)

Дозвол. цензурою. Тифлисъ 8-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა,, და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე